

აფხაზეთის მთავრობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის

2011-2012 წწ. სამოქმედო გეგმა

შესავალი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი), როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოში, აფხაზეთის მთავრობასთან შეთანხმებით შემუშავებულ იქნა 1-წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც აისახა დეპარტამენტისათვის 2011 წლის პრიორიტეტული მიმართულებები. გეგმის პროექტი მომზადდა დეპარტამენტის ფუნქციების გათვალისწინებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გეგმა წარმოდგენილია როგორც ზოგადი სახელმძღვანელო დოკუმენტი და ორიენტირებულია თანამედროვე სამართლებრივ, პოლოტიკურ და სოციალურ რეალობაზე.

დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

დეპარტამენტის კომპეტენცია, ძირითადი ამოცანები და მოქმედების სფერო, დეპარტამენტის სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 12 ოქტომბრის №25 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულებით. დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზაა:

- საქართველოს კონსტიტუცია
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“
- აფხაზეთის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- აფხაზეთის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

დეპარტამენტი უზრუნველყოფს შემდეგი მიმართულებების განხორციელებას:

ა) **სამართალშემოქმედებითი საქმიანობა:** დეპარტამენტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სისტემაში ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება. აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სამართალშემოქმედებითი განყოფილება. მისი მთავარი პრიორიტეტია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა სრულყოფის მიზნით.

ბ) **ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა:** დეპარტამენტი ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას, რომელიც მოიცავს როგორც

დოკუმენტების შედგენის იურიდიული ტექნიკის უზრუნველყოფას, ასევე სამართლებრივი ხასიათის დასკვნების მომზადებას უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შემოსული პროექტების შესაბამისობის თაობაზე. ამ საქმიანობას ახორციელებს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სამართლებრივი ექსპერტიზის განყოფილება. აღნიშნული განყოფილების ფუნქციაში შედის ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“ კომუნიკაცია აფხაზეთის ნორმატიული აქტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. განყოფილება გამოსაქვეყნებელი მასალების სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ წარდგენამდე უზრუნველყოფს მათ შემოწმებას გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოჩენა-გამოსწორების მიზნით.

ამ სფეროში მთავარი პრიორიტეტია დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში აფხაზეთის ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებისას სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება და აფხაზეთის ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხელშეწყობა.

გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა: დეპარტამენტი როგორც აფხაზეთის მთავრობის დაწესებულება სისტემატურად ახორციელებს დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობას. კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნულ პირებს დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლები უწევენ იურიდიული ხასიათის საკითხებზე კონსულტაციებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მიმართულების მთავარი პრიორიტეტია კომპეტენციის ფარგლებში დევნილი მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით.


დ) საარქივო საქმიანობის წარმოება: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის მართვას, საარქივო საქმისწარმოების სრულყოფას და საარქივო საქმის განვითარებას უზრუნველყოფს დეპარტამენტის არქივის განყოფილება. ძირითადი აქცენტი აღნიშნულ საქმიანობაში კეთდება აფხაზეთის საარქივო ფონდის შევსებაზე, საარქივო დოკუმენტების აღწერა-სისტემატიზირებაზე, შესაბამისი ზედამხედველობის გაწევაზე აფხაზეთის სტრუქტურების მიმართ. ამ მიზნით დეპარტამენტის მიერ რეგულარულად ტარდება სარეკომენდაციო-გაცნობითი ხასიათის სემინარები აფხაზეთის დაწესებულებების სპეციალისტებისათვის საარქივო საქმიანობის ორგანიზაციული სრულყოფის მიზნით. ამ სფეროს მთავარი პრიორიტეტია - აფხაზეთის საარქივო საქმიანობის განვითარება სამინისტროების, უწყებების და დაწესებულებების არქივების ორგანიზაციის, მეთოდური უზრუნველყოფის და საარქივო საქმიანობის კოორდინაციის გზით, ასევე საარქივო საქმიანობის მართვის ეფექტიანობის გაზრდის კუთხით.

ე) ადამიანური რესურსების მართვა: დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საკადრო პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება დეპარტამენტის ფუნქციების ქმედითი და შედეგიანი განხორციელება. აღნიშნულ საკითხში დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანია საჯარო მოსამსახურეების პროფესიული დონის შენარჩუნება მაღალ სამსახურებრივ დონეზე, რაც მიღწევადია სისტემატურად დეპარტამენტის თანამშრომლების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით. აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების

მხრივ და დეპარტამენტში ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვისთვის მნიშვნელოვანია სტაჟირების (პრაქტიკის) გავლის პროცესის აქტიური და ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნულ მიმართულებას უზრუნველყოფს დეპარტამენტის კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილება და მისი მთავარი პრიორიტეტია ადამიანური რესურსების მართვის ხარისხის გაზრდა.

ვ) **საზოგადოებასთან ურთიერთობა:** დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლებთან ურთიერთობას დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე. აღნიშნული საქმიანობა წარიმართება ორი ძირითადი მიმართულებით. პირველი - აქტიური კომუნიკაცია სახელმწიფო დაწესებულებებთან და სხვადასხვა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მეორე - კომუნიკაცია სამოქალაქო საზოგადოებასთან. პირველი ხორციელდება ყოველდღიური სამუშაო პროცესის ფარგლებში, მეორე - სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზებით და ასევე კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების გზით. აღნიშნულ საქმიანობას უზრუნველყოფს დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება. საზოგადოებასთან ურთიერთობის ინტენსიფიკაციის მიზნით იქმნება დეპარტამენტის ოფიციალური საიტი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების წარმომადგენლები შეძლებენ თავისუფლად და ხელმისაწვდომ რეჟიმში გაეცნონ დეპარტამენტის საქმიანობას. ამ მიმართულებით მთავარი პრიორიტეტია მაქსიმალური გახსნილობა და პოზიტიური კომუნიკაციის ჩამოყალიბება საზოგადოებასთან.

აღნიშნული მიმართულებების ეფექტური რეალიზების მიზნით დეპარტამენტში ჩამოყალიბებულია შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2011 წლის
სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების განსახორციელებელი სამუშაო
გეგმა

სამართალშემოქმედებითი საქმიანობა

- აფხაზეთის ნორმატიული აქტების შესწავლა და გადარჩევა-ანალიზი არსებითად მოძველებული ნორმატიული აქტების გამოვლენის მიზნით და აფხაზეთის მთავრობისთვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) დევნილი მოსახლეობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესწავლა და შესაძლო ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე აფხაზეთის მთავრობისთვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;
- სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით ორგანიზაციული, მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებების გატარება. ამავე მიზნით კოორდინირებული მუშაობის წარმართვა აფხაზეთის დაწესებულებებს შორის;
- ნორმატიული აქტების პროექტების მომზადების პროცესში საზოგადოებრივი ინტერესების (განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის) გათვალისწინება. სამართალშემოქმედებით საქმიანობაში სოციალური მოთხოვნილებების პროგნოზირების ელემენტების შეტანა;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამჟამად (დე-ფაქტო) მოქმედი კანონმდებლობის შესწავლა-განალიზება, შესაბამისი ხედვის ჩამოსაყალიბებლად საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის #885 „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების ჭრილში;
- აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სულიერი მემკვიდროების - ქართული სალოცავების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესამუშავებლად პროექტების მომზადება, საქართველოსა და აფხაზეთის ა/რ მთავრობებსა და საქართველოს საპატრიარქოსთან ურთიერთთანამშრომლობის გზით.

ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა

- საექსპერტიზოდ შემოსული აფხაზეთის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შესწავლა საქართველოს კანონმდებლობასთან და სხვა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და სათანადო დასკვნების და წინადადებების წარდგენა;
- საექსპერტიზოდ შემოსული აფხაზეთის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების სრულყოფისა და დახვეწის მიზნით აფხაზეთის აღმასრულებელ დაწესებულებების იურიდიული სამსახურის წარმომადგენელთათვის

სამართლებრივი საკითხების თაობაზე სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება. სამართლებრივი ექსპერტიზის პროცედურის მეთოდოლოგიური დახვეწა. აფხაზეთის დაწესებულებებთან უფრო მჭიდრო მუშაობა აღნიშნულ სფეროში, მათ შორის აღნიშნულ თემატიკაზე შესაბამისი სემინარების ორგანიზება-ჩატარება სათანადო სპეციალისტების მოწვევით;

- გამოსაქვეყნებელი აფხაზეთის ნორმატიული მასალების სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესათვის“ წარდგენამდე შესწავლა, გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოფხვრის აღმოჩენა-გამოსწორების კუთხით;
- დეპარტამენტის თანამშრომელთათვის პერიოდულად საკანონმდებლო სიახლეების გაცნობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა

- დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობების ინტენსიფიკაცია. დევნილებისთვის კომპეტენციის ფარგლებში პერიოდულად სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა;
- დეპარტამენტის ოფიციალურ საიტზე იურიდიული ხასიათის საკონსულტაციო ინფორმაციის განთავსება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან რეინტეგრაციის საკითხებში და სხვა უწყებებთან, ამასთან არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე ინფორმაციის გაცვლისა და პრობლემატურ საკითხებზე წინადადებების წამოყენების და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით;

საარქივო საქმიანობის წარმოება

- საარქივო საქმიანობის განვითარების მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებში საარქივო საქმიანობის ზოგადი კოორდინირება და ზედამხედველობა;
- აფხაზეთის სახელმწიფო დაწესებულებებში საარქივო საქმიანობის სრულყოფის მიზნით შესაბამისი სემინარების, ტრენინგების და კონფერენციების ორგანიზება;
- საარქივო ფონდში დაცული მასალების დამუშავება-გამოყენება და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება;
- აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა პირადი საქმის შექმნა-შეგროვება და დაარქივება. აღნიშნული საქმიანობისათვის დაისახა „სამშობლოსათვის მარადისობაში“ პროექტის განხორციელება;

- „სამშობლოსათვის მარადისობაში“ პროექტის ფარგლებში სხვადასხვა საშუალო საჯარო სკოლებთან ერთობლივად მათ მიერ აღზრდილების - აფხაზეთის ომში დაღუპული მეომრების მოგონების საღამოების ორგანიზება;
- 1993 წლის 15, 16 მარტს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპულ მეომრებზე დოკუმენტური მასალების საზოგადოებისთვის წარდგენა. ღონისძიება „ძალადობისა და ოკუპაციის წინააღმდეგ“ ჩატარება, რომელიც მოიცავს აფხაზეთის ომზე და მის ტრაგიკულ შედეგებზე საარქივო ფოტოგამოფენის მოწყობას, დოკუმენტური ფილმის „გენოციდი“ (რეჟ. ზენონ კაცია) ჩვენება.

ადამიანური რესურსების მართვა

- კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამის ღონისძიებებში დეპარტამენტში მომუშავე საჯარო მოხელეების მივლინება (წარგზავნა);
- დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ უცხო ენების შესწავლისთვის ხელის შეწყობა;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან და მის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების ამაღლების მიზნით;
- დეპარტამენტის მოხელეთა ადგილობრივი და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ სემინარებში, კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობისათვის ხელშეწყობა;
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობა დეპარტამენტში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისათვის და დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისათვის დეპარტამენტში პროფესიული პრაქტიკის გავლის ხელშეწყობისათვის მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების და სრულყოფის მიზნით;
- სტაჟირების გავლის დადგენილი წესის შესაბამისად, სტაჟიორთათვის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სათანადო პირობების შექმნა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

- დეპარტამენტში გაწეული სამუშაოს ფართო საზოგადოებისათვის წარდგენისა და შესაბამისი აქტუალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით სათანადო ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარება. თანამედროვე საინფორმაციო რესურსების გამოყენება, კერძოდ ბეჭდვითი, ტელე და ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება;
- ახალგაზრდობასთან (სტუდენტობასთან) პერიოდული შეხვედრებითი შეხვედრების მოწყობა და მათთვის აფხაზეთის შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

- დევნილი ბავშვებისთვის საჯარო სკოლებში დანაშაულის პრევენციის მიზნით ღია გაკვეთილი-სემინარების ორგანიზება-ჩატარება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარისხის გაზრდა ინტერნეტ-რესურსის აქტიური გამოყენების მეშვეობით. დეპარტამენტის ოფიციალური საიტის შექმნა, რომელზეც აისახება დეპარტამენტის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები, მათ შორის სისტემატიზირებული აფხაზეთის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების განახლებული და კოდიფიცირებული ვარიანტები. უზრუნველყოფილ უნდა იყოს აღნიშნული აქტების ელექტრონული ფორმების ხელმისაწვდომობა;
- აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სულიერი მემკვიდრეობის თაობაზე - ქართულ სალოცავებზე ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოსა და აფხაზეთის ა/რ მთავრობებსა და საქართველოს საპატრიარქოსთან ურთიერთთანამშრომლობის გზით.